აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 44

04 ოქტომბერი 2012 წელი **ქ. ბათუმი**

უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, 41-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და საარჩევნო სუბიექტის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს“ მიერ წარდგენილი კანდიდატის ირაკლ ი კვერღელიძის 2012 წლის 4 ოქტომბრის განცხადების (რეგისტრაციის №01-23/147) შესაბამისად, **ვადგენ:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის, გაუუქმდეს საარჩევნო რეგისტრაცია და მოხსნილი იქნას საარჩევნო სუბიექტის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - მეტი სარგებელი ხალხს“ მიერ წარდგენილი პარტიული სიიდან უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი (პარტიული სიის რიგით №3) ირაკლი კვერღელიძე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**